საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოსინიკები

მოსინიკები, ერთ-ერთი ძველი ქართველი ტომი სამხრ. კოლხეთში. ადრინდ. ანტ. ხანაში ცხოვრობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე, ტრაპეზუნტისა და კერასუნტის დას-ით. ძვ. წ. V ს-ში მ. ამ რ-ნის სხვა ქართველ ტომებთან ერთად შედიოდნენ სპარს. XIX სატრაპიაში. მათ შესახებ მრავალ ცნობას გვაწვდვის ძვ. ბერძენი ავტორი ქსენოფონტი, რ-საც ძვ. წ. 401 გაუვლია **მ**-ით დასახლებულ ტერიტ-ზე. ამ დროს არსებობდა **მ**-ის ორი დიდი გაერთიანება, რ-ებიც ერთმანეთს ეომებოდნენ მთავარი ქალაქის და ციტადელის დასაუფლებლად. **მ**-ს მოჰყავდათ ხორბალი, მისდევდნენ თევზჭერას, საკვებად ხშირად იყენებდნენ წაბლს, სცოდნიათ ღვინის დაყენებაც. **მ**-ს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ კერასუნტისა და ტრაპეზუნტის ბერძენ მოახალშენეებთან. მათ „მეფეს“ (ან იგულისხმება მთავარი ქურუმი) რეზიდენცია ხის მაღალ კოშკში ჰქონია.

მ-ში განვითარებული უნდა ყოფილიყო ლითონის დამუშავება. ზოგი ავტორიის ვარაუდით ევრ. ენებში სიტყვა „თითბრის“ სახელწოდება (Messing) მ-ის სახელიდან მომდინარეობს.

ლიტ.: გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე ა., პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, 1965, [ტ. 1]; ლ ო მ ო უ რ ი ნ., კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1955, ნაკვ. 32; მ ი ს ი ვ ე , ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, იქვე, 1963, ნაკვ. 35; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.

გ. მელიქიშვილი